

## ძირითად ცნებათა განმარტებები:

### დომენური სახელი

დომენური სახელი წარმოადგენს იერარქიულ საიდენტიფიკაციო სტრიქონს, რომელიც განმარტავს რაიმე რესურსს ინტერნეტში და დაფუძნებულია დომენური სახელების სისტემაზე.

მაგალითი :

[www.gncc.ge](http://www.gncc.ge)

*ge* - პირველი დონის ან „ზედა დონის“ დომენია (TLD); ამ შემთხვევაში ccTLD - ქვეყნის კოდი/ზედა დონის დომენია;

*gncc* – მეორე დონის დომენია;

*www* - მესამე დონის დომენია.

### დომენური სახელების სისტემა

დომენური სახელების სისტემა წარმოადგენს იერარქიულ კატალოგს ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებისათვის, სერვისებისა ან სხვა რაიმე რესურსისათვის. მისი მთავარი ფუნქციაა ადამიანისთვის გასაგები დომენური სახელის ტრანსლაცია ან გადათარგმნა კომპიუტერისათვის მისაღებ ფორმაში (იგულისხმება ციფრული იდენტიფიკატორი, როგორც არის, მაგალითად, IP მისამართი).

მაგალითად, დომენურ სახელს [www.gncc.ge](http://www.gncc.ge) შეესაბამება შემდეგი IP მისამართი 80.92.177.2.

### ccTLD დომენები

ccTLD - Country Code Top Level Domain (ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში) - ეს არის ზედა დონის დომენი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის კოდს, მაგალითად: .ge (საქართველო), .de (გერმანია) და ა.შ.

თითოეულ ქვეყანას მინიჭებული აქვს შესაბამისი 2-ნიშნა კოდი ISO 1366 სტანდარტის მიხედვით. დადგენილი წესით, ე.წ. დომენის დელეგირებას ახორციელებს IANA /ICANN (Internet Assigned Names Authority / Internet Corporation for Assigned Names and Numbers) რის შედეგადაც დომენის მართვის უფლება ენიჭება ქვეყანაში შექმნილ შესაბამის ორგანიზაციას (ადმინისტრატორს).

საქართველომ.GE დომენი მიიღო 1992 წელს;

### ASCII დომენური სახელები

(იკითხება როგორც „ესკი“)

ეს არის დომენური სახელები, შემდგარი ქვემოთ ჩამოთვლილი სიმბოლოებისგან:

- ლათინური ასოები a-z
- ციფრები 0-9
- სიმბოლო ‘-‘

### IDN - Internationalized domain name

ინტერნაციონალიზებული დომენური სახელი არის დომენური სახელი, მთლიანად ან ნაწილობრივ შემდგარი არა-ASCII სიმბოლოებისაგან, არამედ ლათინურისგან განსხვავებული, მაგალითად - ქართული, ბერძნული, ჩინური და ა.ს. ასოებისგან (სიმბოლოებისგან). სიმბოლოების კოდირების დროს გამოყენებულია უნივერსალური კოდირების სტანდარტი Unicode, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოში არსებული ნებისმიერი ენის სიმბოლოს (ასოს) მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდი.